სპორტი

თფილისის „დინამოს” გამარჯვება

2 ივლისს მოსკოვში შედგა უკანასკნელი შეჯიბრება ფეხბურთის საკავშირო პირველობაზე ბ” ჯგუფში. თამაშობდნენ თფილისის „დინამო” და მოსკოვის „სერპ ი მოლოტი”.

თამაშის დასაწყისში შეტევაზე გადადიოდა „სერპ ი მოლოტი”, მაგრამ შემდეგ გამოაშკარავდა თფილისელთა უპირატესობა ტაქტიკასა და ფიზიკურ მომზადებაში. მოსკოველები იძულებული გახდნენ თავდაცვაზე გადასულიყვნენ.

თამაშის პირველი განყოფილება დამთავრდა 0:0 ანგარიშით. მეორე ტაიმის მე-13 და მე-27 წუთზე თფილისელებს მ. ასლამაზოვს და ნ. სომოვს გააქვთ ორი ბურთი, რამაც გადასწყვიტეს მატჩის ბედი - „სერპ ი მოლოტი” დამარცხდა ანგარიშით 0:2.

თფილისის მხრიდან განსაკუთრებით კარგად თამაშობდნენ დოროხოვი, შავგულიძე და ასლამაზოვი.

ამრიგად, საბჭოთა კავშირის პირველობა „ბ” ჯგუფში დარჩა თფილისის „დინა-მოს”, რომელმაც ბრწყინვალედ ჩაატარა მთელი გათამაშება: სვიდი შეჯიბრებიდან ექვსი მოიგო და ერთი ყაიმით დაამთავრა, 21 შესაძლებელი ქულიდან 20 მოაგროვა.

„ა” ჯგუფში გადასასვლელად „დინამო” უნდა ეთამაშოს იმ გუნდს, რომელიც უკანასკნელ ადგილს დაიჭერს ამ კატეგორიაში. ეს ამ ცოტა ხანში გამოირკვევა, როდესაც დამთავრდება „ა” ჯგუფის გუნდების პირველობის გათამაშება. თუ ეს შეჯიბრებაც თფილისის „დინამომ” მოიგო, იგი გადაირიცხება პირველ ჯგუფში და საბჭოთა კავშირის საუკეთესო გუნდთა რიგში ჩადგება.

კომუნისტი 10.VIII. 36